

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 97-ე  
ონლაინ სხდომის  
ოქმი  
2021 წლის 5 მარტი

დღის წესრიგი

15:00 – 15:10	<p>სხდომის გახსნა/საბჭოს 96-ე სხდომის ოქმის დამტკიცება/ დღის წესრიგის დამტკიცება ქ-ნი ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი</p> <p><b>მისალმება</b> ბ-ნი დუმიტრუ ლატიჩევსკი - გლობალური ფონდი, რეგიონული მენეჯერი, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის გუნდი</p>
15:10– 15:15	<p>მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირება თხოვნით სამდივნო</p>
15:15 - 15:25	<p>გლობალური ფონდის მომდევნო სტრატეგიული ციკლის დაფინანსება/განაცხადების შემუშავების პროცესის განხილვა ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p>
15:25 - 15:35	<p>კითხვები და პასუხები</p>
15:35- 15:40	<p>ძირითადი მიმღების შერჩევის პროცესის წარდგენა/შეთანხმება სამდივნო</p>
15:40 – 15:45	<p>გლობალური ფონდის პარტნიორობის მე-6 ფორუმი</p>

	ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი
15:45- 15:55	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>გლობალური ფონდის აივ/შიდსის გრანტის მიმდინარეობა</b></li> </ul> <p>ქ-ნი ქეთევან სტვილია - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეულ შიდსის პროგრამის მენეჯერი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>გლობალური ფონდის ტუბერკულოზის გრანტის მიმდინარეობა</b></li> </ul> <p>ქ-ნი მაკა დანელია - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეულ ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი</p>
15:55 – 16:05	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ანგარიში საზედამხედველო აქტივობების შესახებ</b></li> <li>• <b>სამდივნოს ყოველწლიური შეფასების წარდგენა</b></li> </ul> <p>ქ-ნი მზია ტაბატაძე - საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
16:05– 16:30	მიმდინარე საკითხები/განცხადებები
16:30	სხდომის დახურვა

მონაწილეები

#	ქსს-ს წევრები/ალტერნატები
---	---------------------------

1	ეკატერინე ტიკარაძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ქსს-ს თავმჯდომარე
2	ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი  გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები-ორგანიზაცია
3	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (PIU), დირექტორი
4	ზაზა ავალიანი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი  გლობალური ფონდის ტბ გრანტის ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
5	ირინე ჯავახიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
6	თამთა დემურიშვილი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
7	ზურაბ ვადაჭკორია	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
8	ლელა ბაქრაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
9	ნატალია ზაქარეიშვილი	გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)  ქ-ნი ლელა ბარამის ალტერნატიული წევრი
10	ნინო მამულაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი,

		ბ-ნი სილვიუ დომენტეს ალტერნატიული წევრი საზედამხედველო კომიტეტის წევრი
11	ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირი პროგრამის მენეჯერი
12	ნიკოლო ღვინიაშვილი	თანასწორობის მოძრაობა, აივ პრევენციის პროგრამის ასისტენტი, MSM/TG თემის წარმომადგენელი გლობალური ფონდის აივ პროგრამის ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
13	ბექა გაბადაძე	MSM/TG თემის წარმომადგენელი თანადგომა გლობალური ფონდის აივ პროგრამის ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია ალტერნატიული წევრი
14	ლაშა თვალაშვილი	სათემო ორგანიზაცია რეალური ხალხი - რეალური ხედვა, აივ პოზიტიური თემი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
15	მზია ტაბატაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია ალტერნატივა ჯორჯია, ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე
16	ზაზა ქარჩხაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია - ახალი გზა გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
17	მარი ჩხელი	არასამთავრობო ორგანიზაცია - ღია საზოგადოება- საქართველო
18	ნიკოლოზ მირზაშვილი	პაციენტთა კავშირი, ყოფილი ტბ პაციენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
19	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კერძო სექტორი

20	კონსატნტინე ლაბარტყავა	GenPUD, სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი ნიმ გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე-ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
21	ლაშა აბესაძე	GenPUD, სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი ნიმ ალტერნატიული წევრი გლობალური ფონდის აივ გრანტის ქვე-ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
22	აკაკი აბუთიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი
#	<b>მოწვეული პირები/დამკვირვებლები/მომხსენებლები</b>	
23	დუმიტრუ ლატიჩევსკი	გლობალური ფონდი, რეგიონული მენეჯერი, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის გუნდი
24	ტატანა ვინიჩენკო	გლობალური ფონდი, პორტფოლიო მენეჯერი
25	ანი გაბრიელიან	გლობალური ფონდი
26	ვიქტორია ჩუიკინა	გლობალური ფონდი
27	ნატალია მანიკ	გლობალური ფონდი
28	დავიდ კოკიაშვილი	გლობალური ფონდი
29	ნანა ნაბახტეველი	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA), UNOPS, ფინანსური ექსპერტი
30	ქეთევან სტვილია	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმხორციელებელი ერთეული (PIU), აივ/შიდსის პროგრამის მენეჯერი
31	მაკა დანელია	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმხორციელებელი ერთეული (PIU), ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

32	ნინო ლომთაძე	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
33	თორნიკე ხონელიძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
34	კახა კვაშილავა	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, აღმასრულებელი დირექტორი
35	თეიკო ჩიკვილაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია წითელი ჯვრის საზოგადოება
36	დავით კახაბერი	თანასწორობის მიძრაობა მსმ თქმი
37	გიორგი სოსელია	PTF, MdM
#	<b>სამდივნო</b>	
38	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
39	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

**აბრევიატურების სია**

AIDS - Acquired Immune Deficiency Syndrome, შიდსი, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

CBO - Community Based Organization, სათემო ორგანიზაცია,

CIF – Curatio International Foundation, საერთაშორისო ფონდი კურაციო

CCM - Country Coordinating Mechanism, ქსს, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

COI - Conflict of Interest, ინტერესთა კონფლიქტი

CRG – Community, Rights and Gender, თემი, უფლებები, გენდერი

CSO - Civil Society Organization, სამოქალაქო საზოგადოება

CSS - Community Systems Strengthening, სათემო სისტემების გაძლიერება

CT – Country Team, ქვეყნის გუნდი

DR-TB - Drug Resistant Tuberculosis, წამალგამძლე ტუბერკულოზი

FR – Funding Request, საგრანტო განაცხადი

FSW – Female Sex Worker, კომერციული სექს-მუშაკი

GHRN - Georgia Harm Reduction Network, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GHS – Global Health Agenda, ჯანდმრთელობის გლობალური დღის წესრიგი

HCV - Hepatitis C virus, C ჰეპატიტის ვირუსი

HIV - Human Immunodeficiency Virus, აივი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

HTM – HIV, Tuberculosis, Malaria, აივი, ტუბერკულოზი, მალარია

IDU – Injecting Drug User, ნიბ, ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი

KAP – Key Affected Population, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი

KVP – Key and Vulnerable Population, საკვანძო და მოწყვლადი მოსახლეობა

LTBI - Latent Tuberculosis Infection, ლატენტური ტუბერკულოზი

MSM – Men who have sex with men, მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

NHA - National Health Agency, ეროვნული ჯანმრთელობის დღის წესრიგი

NCDCPH – National Center for Disease Control and Public Health, დკსჯეც, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NCTLD – National Center for Tuberculosis and Lung Diseases, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

OC – Oversight Committee, საზედმხედველო კომიტეტი

OST - Opioid Substitution Therapy, ოჩთ, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია

PAAC - Policy and Advocacy Advisory Committee, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

PIU - Project Implementation Union, პროექტის განმახორციელებელი ერთეული

PLHIV - People living with HIV, აივ ინფიცირებული პირი

PWID – People who Inject Drugs, ნიშ, ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი

PR – Principal Recipient, ძირითადი მიმღები

RBf - Result Based Funding, შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება

RSSH – Resilient and Sustainable Systems for Health, ჯანდაცვის მდგრადი და სიციცხლისუნარიანი სისტემები

SR – Sub-recipient - ქვე-კონტრაქტორი

SVM – Syringe Vending Machine

TA – Technical Assistance, ტექნიკური დახმარება

TB – Tuberculosis, ტუბერკულოზი

TB MDG – Tuberculosis Multi-Disciplinary Groups, ტუბერკულოზის მულტი-დისციპლინარული ჯგუფი

TG - Transgender, ტრანსგენდერი

TRP – Technical Review Panel, ტექნიკური განხილვის ჯგუფი

UNAID - The Joint United Nations Programme on HIV/AIDS, გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა

UNFPA - United Nations Population Fund, გაეროს მოსახლეობის ფონდი

USAID - United States Agency for International Development, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

VOT – Video Observed Treatment, მკურნალობა ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ

**ეკატერინე ტიკარაძე** – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის, რომელიც პანდემიიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში ტარდება. თავმჯდომარე მიესალმა გლობალური ფონდის წარმომადგენლებს და მადლობა მოახსენა გლობალური ფონდს, ქვეყნის გუნდს და პირადად ბ-ნ ლატიჩევსკის და ქ-ნ ვინიჩენკოს სხდომაზე დასწრებასა და საქართველოსთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის. გლობალური ფონდის დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ტუბერკულოზისა და აივ-შიდსის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელებისთვის. მინისტრმა გამოთქვა წარმატებული თანამშრომლობის გაგრძელების, მიღწეული პროგრესის გაღრმავების, საჭიროებების სათანადო მართვის და სირთულეების დაძლევის იმედი. თავმჯდომარემ აღნიშნა გლობალური ფონდის დახმარებით ტუბერკულოზის მართვის და



აივ/შიდსზე რეაგირების კუთხით მიღწეული თვალსაჩინო პროგრესი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგი წინასწარ მიეწოდა ყველა მონაწილეს. შემდეგ, თავნჯოდამრემ განაცხადა, რომ სხდომას წარუძღვება თავმჯდომარის მოადგილე, ქ-ნი მზია ტაბატაძე.

**მზია ტაბატაძე** – მადლობა მოახსენა თავმჯდომარეს და სიტყვა გადასცა ბ-ნ ლატიჩევსკის.

**დუმიტრუ ლატიჩევსკი** – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მაღალი შეფასება მისცა წარმატებულ, მრავალწლიან თანამშრომლობას გლობალურ ფონდსა და საქართველოს შორის. საქართველოში დანერგილი ინოვაციური მიდგომები მაღალ შეფასებას იმსახურებს. საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების (ალოკაციის) თანხა შეადგენს 12,076,771 აშშ დოლარს აივ-პროგრამისთვის და 5,479, 715 აშშ დოლარს ტუბერკულოზისთვის. აღინიშნა შემცირებული დაფინანსების პირობებშიც კი საუკეთესო შედეგების მიღწევის მოლოდინი, ალოკაციის თანხა იძენს კატალიზატორულ მნიშვნელობას ქვეყანაში მიმდინარე წარმატებულ საპასუხო ღონისძიებებთან მიმართებაში.

დაფინანსების შემდეგი ციკლისთვის ერთობლივად უნდა იქნას მოძიებული როგორც ალოკაციური, ასევე ტექნიკური ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები, შემცირებული თანხის პირობებში მაღალი ხარისხის და საუკეთესო შედეგების მიღწევის მიზნით. კერძოდ, მოსალოდნელია ქვეყანაში, რომელიც იმყოფება წამყვან პოზიციებზე მკურნალობის, კარგი გამოსავლის მიღწევის, ვირუსული სუპრესიის მაღალი მაჩვენებლის თვალსაზრისით, აივ ტესტირების და მკურნალობასთან კავშირის გამყარების შემდგომი ზრდა.

ტუბერკულოზის პროგრამამ მიაღწია თვალსაჩინო პროგრესს, ამ მიმართებაში ფოკუსი იქნება მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის გამოსავლების ზრდა. ინოვაციური მიდგომები ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ძლიერ მხარეს. ეს მიმართულება ერთობლივად უნდა შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ტბ უახლესი პრეპარატების, მკურნალობის უახლესი რეჟიმების დანერგვის მიზნით, რათა დაინერგოს უფრო მოკლევადიანი რეჟიმით მკურნალობა, ნაკლები დანახარჯით და შემცირებული დაყოვნებით სტაციონარში.

ბ-ნმა ლატიჩევსკიმ მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას და უსურვა წარმატებული განხილვები, და წარმატება განაცხადის წარდგენის და განხორციელების პროცესში.

**მზია ტაბატაძე** - მადლობა მოახსენა ბ-ნ ლატიჩევსკის, მიმოიხილა დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა სამდივნოს.

**ირინა გრმელიძე** - მიმართა აუდიტორიას თხოვნით დაეფიქსირებინათ ინტერესთა კონფლიქტის არსებობა დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში და გამოაგზავნონ სამდივნოს ელექტრონულ მისამართზე ინტერესთა დეკლარირების შევსებული ფორმები.

**კომენტარი: მიმდინარეობს ინტერესთა დეკლარირების ფორმების შეგროვება**

**მზია ტაბატაძე** - მოკლედ მიმოიხილა დღის წესრიგი. მადლობა მოახსენა სამდივნოს შეხვედრის ეფექტური ორგანიზებისთვის და სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობის შესაძლებლობისთვის. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სიტყვა გადასცა ქ-ნ ირმა ხონელიძეს.

**ირმა ხონელიძე** – გამოხატა მადლიერების გრძნობა სამინისტროს და პირადად, მინისტრის, ქ-ნი ეკატერინე ტიკარაძის და მინისტრის მოადგილის, ქ-ნ თამარ გაბუნიას მიმართ საუკეთესო თანამშრომლობისთვის პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე. ქ-ნმა ირმამ მადლობა მოახსენა გლობალურ ფონდს, ქვეყნის გუნდს, პირადად ბ-ნ დუმიტრუ ლატიჩევსკის და ქ-ნ ტატიანა ვინიჩენკოს დიდი დახმარებისთვის, რაც განსაკუთრებულად თვალსაჩინო გახდა პანდემიის პირობებში. გლობალური ფონდის დაუყოვნებელმა დახმარებამ, გრანტების თანხის დანაზოგის გამოყენების და C19RM ეფექტურმა მექანიზმებმა კრიტიკული როლი ითამაშა პანდემიაზე ეროვნული საპასუხო ღონისძიებების მხარდაჭერის, პროგრამებზე პანდემიის ნეგატიური ზეგავლენის შემცირების და აივ და ტბ-სთან ბრძოლის მიღწევების შენარჩუნების კუთხით.

მომხსენებელმა შეახსენა დამსწრე საზოგადოებას ალოკაციის წერილის შინაარსი და წარადგინა საგრანტო განაცხადის მზადების ეტაპები ძირითადი ფოკუსი (პრეზენტაცია თანდართულია):

- მომდევნო სტრატეგიული ციკლის (2022-2025) დაფინანსების ჯამური ოდენობა - 17,556,486 აშშ დოლარი

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

აივ/შიდსი: 2022 წლის 1 ივლისი – 2025 წლის 31 დეკემბერი

ტუბერკულოზი: 2023 წლის 1 იანვარი – 2025 წლის 31 დეკემბერი

პროგრამებს შორის თანხების შემოთავაზებული განაწილება:

აივ/შიდსი - 12,076,771 (68%)

ტუბერკულოზი - 5,479,715 (32%)

საგრანტო განაცხადის მზადების პრინციპები:

- წარდგენა უნდა მოხდეს ფოკუს-ქვეყნებისთვის მორგებული/ადაპტირებული აპლიკაციის ფორმით
- უნდა მოხდეს აივ/ტუბერკულოზის ერთიანი განაცხადის წარდგენა
- აივ ინფექცია/შიდსის გრანტის პერიოდი გახანგრძლივდა 6 თვით, მოხდა გრანტების განხორციელების პერიოდის სინქრონიზაცია 2025 წლის ბოლომდე.
- რეკომენდირებულია შენარჩუნდეს გრანტის ერთი ძირითადი მიმღები ორგანიზაცია.
- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია მიიღოს დაავადებებზე ბიუჯეტის შემოთავაზებული გადანაწილება ან შესთავაზოს გლობალურ ფონდს დასაბუთებული მოთხოვნა ცვლილების თაობაზე;
- რეკომენდირებულია ახალი განაცხადის ნაწილი იყოს „არ - დაფინანსებული ხარისხის მოთხოვნის“ (Unfunded Quality Demand) განაცხადიც, რომლის დაფინანსება დამოკიდებული იქნება გლობალურ ფონდში თავისუფალი სახსრების არსებობაზე და დაფინანსების შემთხვევაში ეს მოცულობა იქნება დამტკიცებული მოცულობის ზემოთ.

მიზნობრიობა:

- აივ ინფექცია/შიდსი - ფოკუსის შენარჩუნება საკვანძო და მოწყვლად პოპულაციებზე; ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმების პერორალურ მედიკამენტებზე გადასვლის ხელშეწყობა
  - ორი დაავადების მართვის სისტემების ინტეგრირების შესაძლებლობების მოძიება და განვითარება ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით
  - უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებები; სტრუქტურული ბარიერების აღწერა კვლავ პრიორიტეტად რჩება; სასურველია იყოს ინტეგრირებული სერვის პაკეტებში;
  - უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფო თანადაფინანსების ზრდა (თანადაფინანსების ვალდებულება); დაფინანსების 15% -ის მიღება დამოკიდებულია სახელმწიფო დაფინანსების ზრდის მაჩვენებელზე, წინა სტრატეგიულ ციკლთან შედარებით ( \$2.6 მლნ); დღევანდელი დღის მონაცემებით ყველა ვალდებულება შესრულებულია; მომდევნო პერიოდის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული პანდემიის ზეგავლენა.;
  - გამოყოფილი დაფინანსების სულ მცირე 50% უნდა იყოს მიმართული საკვანძო და მოწყვლად პოპულაციების მომსახურებებზე და მაღალი გამოსავლის მქონე ინტერვენციებზე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით;
  - გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადი განვითარების კომპონენტი
- ახალი განაცხადის მომზადების და წარდგენის ვადები/პარტნიორების მხრიდან ტექნიკური დახმარება:
    - სამდივნოს მხრიდან ხორციელდება ყველა ღონისძიება ქვეყნის დიალოგის ინლკუზიურ და გამჭვირვალე ფორმატით წარმართვისთვის. სამდივნო ახდენს პროცესის შესაბამისი ნაბიჯის კოორდინირებას. საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა განცხადება საპროექტო განაცხადის მზადების, იდეების/პროექტების მიღების შესახებ;
    - არ იგეგმება შიდსის და ტუბერკულოზის მიმდინარე სტრატეგიების გადახედვა (ფარავს პერიოდს 2022 წლის ჩათვლით); თუმცა ჯანმო-ს ტექნიკური დახმარებით მოხდება აივ/შიდსის ეპიდემიის ეპიდემიოლოგიური ტენდენციების ანალიზი, სამიზნეების დასმა;

საგრანტო განაცხადის ძირითადი მიმართულებები და აქტივობები:  
 მსმ (MSM), ტრანსგენდერი (TG), კსმ (FSW), ტბ თემები - გლობალური ფონდის პლატფორმა -თემი, უფლებები, გენდერი (CRG )  
 ნიმ (IDU) - გლობალური ფონდის GF SOS project;
  - განაცხადის მომზადება და წარდგენა - გაეროს შიდსის პროგრამა (UNAIDS) და პარტნიორობა შეაჩერე ტუბერკულოზი (Stop TB Partnership) (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერა

- გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერა ეროვნული კონსულტანტების ჩართულობა:
- პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტი (PAAC), როგორც ქსს-ს ძირითადი საკონსულტაციო პლატფორმა ჩართულია პროცესის ყველა შესაბამის ეტაპზე.

**მზია ტაბატაძე** – მადლობა გადაუხადა ქ-ნ ირმა ხონელიძეს და გამოხატა რწმენა, რომ პროცესი წარმართება სამოქალაქო სექტორის და ყველა მხარის ჩართულობით. ქ-ნმა მზიამ სიტყვა გადასცა **ქ-ნ ტატიანა ვინიჩენკოს**.

**ტატიანა ვინიჩენკო** – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა მოახსენა აქტიური თანამშრომლობისთვის. აღინიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად თანამშრომლობა მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში. მაღალი შეფასება მიეცა ქვეყნის მიღწევებს აივ-თან, ტუბერკულოზსა და კოვიდ-თან ბრძოლის თვალსაზრისით. განაცხადის მზადებაზე საუბრისას ხაზი გაესვა შემდეგ საკითხებს:

- საგრანტო განაცხადის შემუშავების ღია და ინკლუზიური ხასიათი. პროცესი უკვე დაიწყო. გლობალური ფონდიდან ქვეყანა მიიღებს დახმარებას ორი მიმართულებით: CRG-ის მხრიდან მოხდება აივ და ტბ-ით დაზარალებული ჯგუფების ჩართულობის მხარდაჭერა; ხოლო ნიმ-ების ჩართულობის დახმარება მოხდება რეგიონული პროექტის SOS-ის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ ორივე საკონსულტაციო პროცესში გამოყენებული იქნება ერთი და იგივე მეთოდოლოგია და შესაბამისად მოსალოდნელია გამოსავლების თანხვედრა. თუმცა ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს გამოსავლების შეჯერება ერთიან აივ/ტბ განაცხადში;
- საჭიროებების პრიორიტიზება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემცირებული დაფინანსების პირობებში. საჭირო იქნება ინტენსიური კონსულტაციები ყველა პარტნიორთან, ყველა მხარესთან, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება გლობალურ ფონდში წარსადგენ საბოლოო სააპლიკაციო პაკეტზე. გლობალური ფონდის მუშაობა მიმართულია გლობალურ სამიზნეებზე. ქვეყანა თავად განსაზღვრავს ეროვნული სტრატეგიების სამიზნეებს. გლობალური ფონდი კი ეხმარება ქვეყანას დასახული მიზნების მიღწევაში;
- ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობა. გარდამავალი პერიოდის და მდგრადობის მიზნების მიღწევა იწყება სააპლიკაციო პროცესიდან. ამრიგად უნდა მოხდეს იმ ინტერვენციების პრიორიტიზირება, რომლებიც იქნება მხარდაჭერილი შემდგომ პერიოდში. გლობალურ ფონდს შეუძლია აღმოუჩინოს დახმარება ქვეყანას იმ ინტერვენციების განხორციელებაში, რომლის მხარდაჭერა რთულია მთავრობისთვის მოცემულ ეტაპზე, თუმცა გლობალური ფონდის ზოგადი პრინციპია - ეროვნულ სტრატეგიებზე დაფუძნებული მხარდაჭერა.

ქ-ნმა ვინიჩენკომ მადლობა მოახსენა აუდიტორიას მჭიდრო თანამშრომლობისთვის და გამოთქვა განაცხადის მზადების ყველა ეტაპზე აქტიური მხარდაჭერის მზადყოფნა.

**მზია ტაბატაძე** – მაღლობა გადაუხადა ქ-ნ ვინიჩენკოს, მიმართა აუდიტორიას კითხვების დასმის თხოვნით და სიტყვა გადასცა სამდივნოს.

**ირინა გრძელიძე** – წარუდგინა აუდიტორიას ძირითადი მიმღების შერჩევის/განმეორებითი წარდგენის პროცედურა, გლობალური ფონდის რეგულაციების თანახმად. ამჟამინდელი ძირითადი მიმღები - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი არის წარმატებული განმახორციელებელი. გლობალური ფონდის შეფასებით, ძირითადი მიმღების მიერ განხორციელებული შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამის რეიტინგი არის A2, სამოქმედო გეგმის ინდიკატორის შესრულების მიხედვით კი - B1. ამრიგად, ქსს-მ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მოხდება ამჟამინდელი ძირითადი მიმღების- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, განმეორებით წარდგენა ძირითადი მიმღების პოზიციაზე. ქ-ნმა გრძელიძემ მიმართა აუდიტორიას თხოვნით წარედგინათ შემოთავაზებები/იდეები/საწინააღმდეგო მოსაზრებები აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში.

**მზია ტაბატაძე** - მაღალი შეფასება მისცა ძირითად მიმღებს საუკეთესო საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ქსს-მ.

*გადაწყდა, რომ ელექტრონულ კენჭისყრაზე დადგება ამჟამინდელი ძირითადი მიმღების - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის გრანტების ძირითად მიმღებად განმეორებით წარდგენის საკითხი.*

*კომენტარი: ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკიდან გამომდინარე, დკსჯეც, ჯანდაცვის სამინისტრო, შეხვედრაზე დამსწრე ქვე-კონტრაქტორები და ქვე-ქვე-კონტრაქტორები არ ლეგულობდნენ მონაწილეობას განხილვაში, განცხადების თანახმად.*

**მზია ტაბატაძე** – სიტყვა გადასცა პროფესორ ამირან გამყრელიძეს.

**ამირან გამყრელიძე** – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გამოთქვა ღრმა მაღლიერების გრძნობა გლობალური ფონდის და პირადად ბ-ნი ლატიჩევსკის და ქ-ნ ვინიჩენკოს მიმართ საქართველოს მხარდაჭერისთვის, როგორც საგრანტო პროგრამების, ასევე კოვიდ პანდემიასთან ბრძოლის კუთხით.

ბატონმა გამყრელიძემ მიაწოდა აუდიტორიას უახლესი ინფორმაცია ვაქცინაციასთან დაკავშირებით და გამოთქვა იმედი, რომ გლობალური ფონდი, როგორც მნიშვნელოვანი დონორი იქნება ამ პროცესში ქვეყნის გვერდით. ბ-ნმა გამყრელიძემ ხაზი გაუსვა, პანდემიის პირობებში, დაავადებებზე შეუფერხებელი და ეფექტური პასუხის შენარჩუნების მნიშვნელობას. ბ-ნმა ამირანმა გამოთქვა მაღლიერების გრძნობა საბჭოს თითოეული წევრის მიმართ აქტიური ჩართულობისთვის და ქ-ნი მზია ტაბატაძის მიმართ ქსს-ს აქტივობების ეფექტური კოორდინირებისთვის.

**მზია ტაბატაძე** – სიტყვა გადასცა ქ-ნ ხონელიძეს.

**ირმა ხონელიძე** – წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია გლობალური ფონდის პარტნიორობის მე-6 ფორუმის შესახებ. ფორუმი წარმოადგენს კონსულტაციების სერიას, რომელიც იმართება გლობალური ფონდის მომავალი სტრატეგიის ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით. წელს ფორუმის დამახასიათებელი ნიშანი იყო კოვიდ პანდემიასა და დაავადებებზე საპასუხო ღონისძიებებთან დაკავშირებული განხილვები. სისტემების ინტეგრირება, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, გენდერული საკითხები, ნებისმიერი სტრუქტურული ბარიერების აღმოფხვრა კვლავ რჩება გლობალური ფონდის განსაკუთრებული ფოკუსის ქვეშ. გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების დღის წესრიგში გლობალური ფონდის როლზე საუბრისას აღინიშნა შემდეგი:

დისკუსიებისას ზოგადად შეთანხმდა, რომ გლობალური ფონდის ფუნქციონირების საკვანძო მიმართულებებს, როგორცაა სამ დაავადებაზე რეაგირება, ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ინფექციის კონტროლი, ლაბორატორიული სიმძლავრეების გაძლიერება, დაავადებებისთვის სპეციფიური ეპიდ.ზედამხედველობა, თემის მობილიზება, მოწოდების ჯაჭვი, მონაცემთა სისტემების გაძლიერება, გაერთიანებული შესყიდვების მექანიზმი ენიჭებათ კრიტიკული მნიშვნელობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემების ეპიდემიების მიმართ მზადყოფნის გაძლიერების კუთხით. ამრიგად მოსალოდნელია გლობალური ფონდის ახალ სტრატეგიაში ჯანმრთელობის უსაფრთხოების და მზადყოფნის კომპონენტების ინკორპორირება სამ დაავადებებთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესის შენარჩუნებასა და გაღრმავების მიზნით. დაგეგმილია სტრატეგიული ჩარჩოს დამტკიცება გლობალური ფონდის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მაისში, ხოლო სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება საბჭოს სხდომაზე ნოემბერში.

**შზია ტაბატაძე** – მადლობა მოახსენა ქ-ნ ხონელიძეს და სიტყვა გადასცა **ქ-ნ სტვილიას** და **ქ-ნ დანელიას**.

**ქეთევან სტვილია** – აივ პროგრამის განხორციელების სტატუსის წარდგენისას (პრეზენტაცია თანდართულია) ყურადღება გამახვილდა შემდეგზე:

- განხორციელების ვადები: 2019 წლის ივლისი – 2022 წლის ივნისი,

ბიუჯეტი: \$9.3 მილიონი + \$1.27 მილიონი კოვიდ-19 ეპიდემიის საპასუხო ღონისძიებებისთვის

საანგარიშო პერიოდის, 2020 წლის ბიუჯეტი: \$4.3 მილიონი

ბიუჯეტის ათვისება: >90 %

- კოვიდ-19 ეპიდემიის გამოწვევები  
კოვიდ-19 ეპიდემიის შემაკავებელი ღონისძიებების ფარგლებში შემოღებული მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვის პირობებში გართულებული იყო აივ

პრევენციული პაკეტით გათვალისწინებული სერვისებით საკვანძო მოწყვლადი პოპულაციების მოცვა

- 32,607 (86%) ნიმ-მა ისარგებლა ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის მომსახურებით
- 2,722 (65%) კსმ ქალი იყო მოცული აივ პრევენციული პაკეტის მომსახურებით
- 6,976 (75%) მსმ-მა ისარგებლა აივ პრევენციული მომსახურების პაკეტით

• კოვიდ-ზე საპასუხო ღონისძიებები:

- შიღის ცენტრმა დაიწყო არე მედიკამენტების 3 თვის მარაგის გაცემა პაციენტებზე;
- აივ ინფიცირებულთა არე მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველყოფა - მობილური ბრიგადების ბინაზე ვიზიტების რაოდენობის გაზრდა, მობილური ბრიგადების ავტომობილების საწვავის ლიმიტების გაზრდა;
- არე მედიკამენტების მიწოდების ალტერნატიული მოდელის შემუშავება- საფოსტო მომსახურების გამოყენება;

შედეგად მიღწეულია კარგი გამოსავალი:

5,442 (89%) აივ ინფიცირებული პაციენტი იმყოფებოდა არე მკურნალობაზე 2020 წლის ბოლოს

• კოვიდ-19 -ის გამოწვევები:

განსაკუთრებით ნეგატიური ზეგავლენა განიცადა აივ ტესტირებით სამიზნე საკვანძო პოპულაციების მოცვა

- ნიმ-ების მოცვა აივ ტესტირებით - 27,892 (79%)
- მსმ-ების მოცვა აივ ტესტირებით - 5097 (69%)
- კსმ -ქალების მოცვა აივ ტესტირებით - 1535 (47%)

- გამოწვევებზე რეაგირების მიზნით პროგრამის ფარგლებში 2020 წლის მარტიდან ამუშავდა აივ თვითტესტირების ონლაინ პლატფორმა;
- აივ-ზე ნერწყვის თვითტესტების მიწოდება პლატფორმაზე რეგისტრირებულ ბენეფიციარებზე ხდება გლობოს საკურიერო სერვისის საშუალებით;
- ონლაინ პლატფორმა ასევე გამოიყენება აივ პრევენციული სხვა საშუალებების დისტრიბუციისთვის;
- საფრანგეთის 5% ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებულ „ალტერნატივა ჯორჯის“ „სიგმა“ პროექტთან თანამშრომლობით აივ თვითტესტების დარიგება 9 ლოკაციაზე დაიწყო ავტომატური დისტრიბუციის აპარატების საშუალებით, მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- ამოქმედდა ტელეკლინიკა (აივ და ტბ პაციენტებისთვის, საკვანძო და მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი გახდა პირველადი ჯანდაცვის ონლაინ სერვისები,

ფსიქოლოგიური კონსულტაცია, კოვიდ-19-ის სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევების მართვა);

- გლობალური ფონდის COVID-19 რეაგირების მექანიზმით (C19RM) შიდსის პროგრამის ფარგლებში დამატებით გლობალური ფონდიდან მოზიდული იქნა 1.27 მილიონ აშშ დოლარი. თანხა მოხმარდა:
  - პერსონალური დაცვის, სადეზინფექციო საშუალებების შეძენას;
  - ლაბორატორიული ტესტირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და კოვიდ 19 დიაგნოსტიკისთვის ტესტ-სისტემების შესყიდვას ჯამური ღირებულებით \$626K;
  - აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფების, აივ ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირებისთვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
  - აივ თვითტესტირების პროგრამის გაფართოებას, დამატებით აივ თვითტესტების შეძენას;
  - პირველადი ჯანდაცვის მუშაკების კოვიდ-19 ინფექციის მართვის კომპეტენციების ამაღლებას;
  - პლანშეტების შექმნა გასვლითი ვიზიტების დროს რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით;
  - მიმდინარეობს მომსახურების შესყიდვა განსაკუთრებით მოწყვლადი 600 ბენეფიციარის საკვებით დასახმარებლად.

მომხსენებელმა მაღლობა გადაუხადა გლობალურ ფონდს პანდემიის დროს აღმოჩენილი კრიტიკული მნიშვნელობის დახმარებისთვის, დამატებითი თანხები მიმართულია აივ და ტბ პროგრამებზე პანდემიის უარყოფით ზეგავლენაზე რეაგირებისკენ.

**მაკა დანელია** – ტბ პროგრამის განხორციელების სტატუსის წარდგენისას (პრეზენტაცია თანდართულია) ყურადღება გამახვილდა შემდეგზე:

**მიზანი:** ტუბერკულოზის ტვირთის შემცირება, ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

სტრატეგიები:

- ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- ხელშემწყობი გარემოს და სისტემების შექმნა;
- ჯანდაცვის სისტემის საერთო ფუნქციების გაძლიერება ტუბერკულოზის და აივ/შიდსის კონტროლისთვის.

**ბიუჯეტი:** 6,239,619.27 აშშ დოლარი



- 2006-2020 წწ ტუბერკულოზის შემთხვევების რაოდენობა. განსხვავებით წინა წლების კემმარიტი კლებისა, კლების უახლესი ტენდენცია შესაძლოა უკავშირდებოდეს კოვიდ-19-ს;
- კოვიდ-19-ის გამოწვევები:  
2020 წელს მიღწეული სამიზნეები:
  - Xpert ტესტით გამოკვლეული პაციენტები - 100%
  - რეგისტრირებული MDR პაციენტები – 74%
  - მე-2 რიგის მკურნალობაში ჩართული პაციენტები – 68%
- **COVID-19 ეპიდემიის საპასუხო ქმედებები:**
  - საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც მიმართა გლობალურ ფონდს გრანტების დანაზოგის მექანიზმის გამოყენების განაცხადით. მოხდა 266,500 აშშ დოლარის მობილიზება დანაზოგიდან და ამ თანხის მიმართვა:
    - o Xpert Xpress SARS-CoV-2 ტესტების (5100) შესყიდვა და პერსონალის ტრენინგი, დიაგნოსტიკის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობის მიზნით;
    - o არსებული რესურსების გადანაწილება: 50 ულტრაიისფერი ნათურის გადაცემა რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის;
    - o Xpert აპარატების გადანაწილება და FAST სტრატეგიის გაფართოება.
- **პროგრამული აქტივობების ცვლილება COVID-19-ზე საპასუხოდ:**
  - სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტების შემცირება და მედიკამენტების ბინაზე მიწოდება;
  - ვიდეო მეთვალყურეობით მკურნალობის გაფართოება, განსაკუთრებით რეზისტენტული ფორმით დაავადებულ პაციენტებს შორის. აპლიკაცია შექმნილია საქართველოში, გლობალური ფონდის მხარდაჭერით; მას მიეცა მაღალი შეფასება ჯანმრთელობის მიერ. უკვე დაინერგა ყაზახეთში, ხდება მისი ადაპტირება აზერბაიჯანის კონტექსტზე, ინტერესი ასევე გამოხატა სომხეთმა;
  - ტრენინგები გადავადდა ან ჩატარდა ონლაინ ფორმატში.
- **2021 წლის გეგმები:**
  - საინფორმაციო კამპანია ტუბერკულოზის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;
  - თამბაქოს მოხმარებისთვის თავის დანებების ხელშეწყობა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში;
  - შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება - პილოტური პროექტი ფონდ კურაციოსა და ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით;
  - სათემო ორგანიზაციების ჩართულობა - თემის მობილიზაცია დამყოლობის პრობლემების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტების მხარდასაჭერად; მიმდინარეობს თანამშრომლობა რეგიონულ პროგრამასთან, TB-REP-თან;

- პჯდ ექიმების და ექთნების ტრენინგი რესპირაციული სიკვდილობების მქონე პაციენტებში ტუბერკულოზზე სავარაუდო შემთხვევების დროული გამოვლენის მიზნით;
- ნულოვანი ტუბერკულოზის პროგრამა აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში;
- ტუბერკულოზის, აივ-ინფექციის და C ჰეპატიტის აქტიური სკრინინგი (მ.შ. რენტგენის აპარატით აღჭურვილი მობილური ამბულატორიის მეშვეობით);
- კონტაქტების კვლევის და ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მკურნალობით მოცვის გაფართოება;
- ელექტრონული პლატფორმის შექმნა ლატენტური ტუბერკულოზის კონტაქტების კვლევის მიზნით;

**მზია ტაბატაძე** –წარადგინა ბოლო პერიოდში განხორციელებული საზედამხედველო აქტივობების ძირითადი ასპექტები.

**ძირითადი ფოკუსი:**

12 ნოემბერს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში განხორციელებული ონლაინ საველე ვიზიტის ამოცანა იყო ნიმ-ებს შორის აივ პრევენციის პროგრამის განხორციელების მიმდინარე სტატუსის და ოპერაციული გამოწვევების განხილვა. პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმის მეშვეობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ნიმ-ების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოწვევები გახდა შეხვედრის განსაკუთრებული ყურადღების საგანი. შეხვედრისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- პროგრამის ანაზღაურების რეგულირების ნაწილში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერის გამო (რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ჩაიტარებს გამოკვლევას ყველა ინფექციაზე (აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე და ტბ-ზე)) - ჩატარებული სერვისის გარკვეული ნაწილი არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. მოცემული ეტაპისთვის პრობლემა აღმოფხვრილია.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს წუხილი სახელფასო ანაზღაურების დაგვიანების გამო. ამჟამად პრობლემა აღმოფხვრილია.
- C ჰეპატიტზე ტესტირების შედეგების გაგზავნის დაყოვნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებიდან. საჭიროა საკითხის მომდევნო შესწავლა.
- რამდენიმე თვის განმავლობაში დაფიქსირდა უსაფრთხო ინექციისთვის პრევენციული მასალის მარაგის ამოწურვა; მოცემულ ეტაპზე, მარაგი შევსებულია და ყველა მასალა ადგილზეა.
- ჩატარდა შეხვედრა ძირითად მიმღებთან დეშბორდის და აივ და ტუბერკულოზის პროგრამების მიმდინარეობის განხილვის მიზნით.

- კიდევ ერთი საველე ვიზიტი ჩატარდა 23 თებერვალს. ვიზიტის მიზანი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების/სათემო ორგანიზაციების მუშაობაზე კოვიდის ზეგავლენის განხილვა და ასევე მსჯელობა მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აივ და ტბ პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა სათემო ორგანიზაციებმა, ნიმ-ებმა, აივ ინფიცირებულმა პირებმა, ტბ თემმა. განხილვის ძირითადი საკითხები:
  - ზიანის შემცირების პროგრამებისთვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არარსებობა.
  - გადაადგილების შეზღუდვა: პანდემიის გამო, მთავრობის მიერ დაწესებული გადაადგილების შეზღუდვა სერიოზული გამოწვევა გახდა აივ პროგრამებისთვის, და განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტებისთვის, რომლებსაც უწევდათ ცენტრებში მისვლა პრეპარატის მისაღებად. რეგიონში მცხოვრებლებისთვის აღნიშნული ასევე სერიოზული პრობლემა იყო, ფინანსური პრობლემის ჩათვლით.
  - მეთადონის ბინაზე გაცემა. აღნიშნა, რომ სათემო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით და ადვოკატირებით განახლდა 5-დღიანი დოზის ბინაზე გატანების პრაქტიკა. გამოიხატა მადლიერების გრძნობა სამინისტროს, პირადად მინისტრის მოადგილის, ქ-ნ თამარ გაბუნიას, სამდივნოს მიმართ მყისიერი რეაგირებასა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. აღნიშნა, რომ ბინაზე გატანების პრაქტიკა, რომელიც მოიაზრება, როგორც პანდემიიდან გამომდინარე დროებითი ზომა, უნდა შენარჩუნდეს და დაინერგოს, როგორც რუტინული პრაქტიკა კოვიდის მიუხედავად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარიმართება შემდგომი ადვოკატირება და საკონსულტაციო პროცესი.
  - სუბოქსონთან დაკავშირებული ხარისხის პრობლემები. მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის უწყებების წარმომადგენლებთან. მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება, რომ მომდევნო ტენდერის მსვლელობისას არ მოხდება ამ კონკრეტული მწარმოებლის პრეპარატის შესყიდვა.
  - ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან დაფიქსირდა გარკვეული ბარიერები ზიანის შემცირების სერვისების სრული პაკეტის განხორციელების თვალსაზრისით. მაგ. რუსთავის მერია უარს აცხადებს ოჩთ პროგრამის გაშვებაზე, რომელიც რეგიონში დაახლოებით 300 პაციენტს მოემსახურება. ამჟამად პაციენტებს მეთადონის მისაღებად უწევთ რუსთავიდან თბილისში მგზავრობა. გარდა ამისა, მერიამ ოფიციალურად უარი განაცხადა ქალაქში სიგმა აპარატების დამონტაჟებაზე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება პაციენტებს დამატებით სირთულეს უქმნის, განსაკუთრებით კოვიდ-თან დაკავშირებული შეზღუდვების ფონზე. საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სენსიტიზაცია.
  - აივ პაციენტები: შიდსის ცენტრმა დაიწყო მედიკამენტების 3-თვიანი მარაგის გაცემა, გაიზარდა მობილური ჯგუფების სახლზე ვიზიტის რაოდენობა. თუმცა,

აივ პაციენტები გამოთქვამენ წუხილს. რომ მოთხოვნა უფრო მაღალია, ვიდრე მიწოდება. არვ მედიკამენტების გაცემის სერვისის დეცენტრალიზაცია შესაძლოა ყოფილიყო გამოსავალი. გარდა ამისა, მობილური ჯგუფები ძირითადად ემსახურებიან სოციალურად დაუცველ პაციენტებს, თუმცა სოციალურად დაუცველი სტატუსის არმქონე პირებმაც შეიძლება მიიღონ სარგებელი მობილური ჯგუფების მუშაობიდან. ამრიგად, მობილური სერვისების გაფართოება და თემის ჩართულობის ზრდა იყო საზედადმხედველო კომიტეტის შეხვედრის ფოკუსი.

- ტუბერკულოზის შემთხვევათა კლება. ტბ თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კლების უახლესი ტენდენციები შესაძლოა დიდწილად უკავშირდებოდეს კოვიდ-ს და არა რაოდენობის ჭეშმარიტ კლებას. ამრიგად საჭიროა შემთხვევათა გამოველნის გააქტიურება.
- 2020 წელს შეჩერდა ორი სათემო ორგანიზაციის - პაციენტთა კავშირი და თ ფიფლ-ის საქმიანობა (დამყოლობის პროექტის ფარგლებში) დაფინანსების არარსებობის გამო. მულტიდისციპლინარული ჯგუფები კვლავ ახორციელებენ რიგ აქტივობებისა მოხალისეობრივად. აღნიშნა ამ ჯგუფების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ტბ დამყოლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასევე აღინიშნა, რომ დაფინანსების არარსებობამ გამოიწვია კადრების გადინება, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ტბ სათემო ორგანიზაციების მდგრადობას.
- სათემო ორგანიზაციები აღიარებენ ვიდუო მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის (VOT) მნიშვნელობას, თუმცა გამოთქვამენ შეშფოთებას აჭარაში სამი დოტ-წერტილის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით. ტბ თემი მიიჩნევს, რომ დოტ წერტილების გაუქმებამ შესაძლოა გააუარესოს ტბ პაციენტებისთვის ტბ სერვისებზე რეგიონებში ხელმისაწვდომობა. საკითხი მოითხოვს მომდევნო შესწავლას და კონსულტაციას შესაბამის მხარეებთან.

ამის შემდეგ, ქ-ნმა ტაბატამემ განსახილველად წამოწია ქს-ს სამდივნოს ყოველწლიური შეფასების საკითხი. სამდივნომ მიიღო მაღალი შეფასება (4-იდან 3.8 ქულა). ფორმა გაიზარდა წევრებს შორის კომენტარებსა და შემოთავაზებების მისაღებად, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში.

**მზია ტაბატამე** – გახსნა კითხვა/პასუხების, განცხადებების სესია და სიტყვა გადასცა **ბ-ნ კახა კვაშილავას**.

**კახა კვაშილავა** – გამოეხმაურა ზიანის შემცირების სერვისების კუთხით არსებულ პრობლემებს და აღნიშნა, რომ ძირითად მიმღებთან და სხვა შესაბამის მხარეებთან დროული და ეფექტური კომუნიკაციის შედეგად, ეტაპობრივად, მაგრამ ეფექტურად ხდება გამოწვევებზე რეაგირება. ბ-ნმა კახამ აღნიშნა, რომ დკსჯეც-ს მიერ სახარჯი მასალის

მიწოდების ორგანიზებასთან დაკავშირებულმა ნაბიჯებმა გამოიღო დადებითი შედეგი და მარაგების ამოწურვის პრობლემა გადაწყვეტილია.

ბ-ნმა კახა კვაშლავამ წარუდგინა აუდიტორიას REAct-ის 6-თვიანი ფუნქციონირების შემაჯამებელი ანალიტიკური ანგარიშის მიმოხილვა.

ძირითადი ფოკუსი:

- REAct ხორციელდება რეგიონული პროექტის “ადმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მაღალი რისკის პოპულაციებისათვის მდგრადი აივ სერვისების უზრუნველყოფა“ (SoS) ფარგლებში. განმხორციელებელი საქართველოში - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (კომენტარი: ქსს-ს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია SoS პროექტის თაობაზე);
- REAct (Rights – Evidence – ACTion; – უფლებები – მტკიცებულებები – ქმედებები) წარმოადგენს მონიტორინგის და რეაგირების სათემო ელექტრონულ პლატფორმას. ხდება სათემო დონეზე აივ სერვისების მიღების ბარიერების, ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირება და რეაგირება;
- REAct-ის მნიშვნელობა ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე პოლიტიკის გაუმჯობესების და საადვოკაციო აქტივობების გაძლიერების თვალსაზრისით;
- REAct 2019 წელს თბილისში ამოქმედდა. ამჟამად პროგრამა გაფართოვდა რეგიონებში;
- REAct – ის მნიშვნელოვანი მახასიათებელი - უფასო იურიდიული მომსახურება ბენეფიციარებისთვის;
- აუდიტორიას წარუდგინა მაღალი რისკ ჯგუფებს შორის ადამიანის უფლებათა დარღვევის სტატისტიკური მონაცემები:
- REAct-ში დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის 250 შემთხვევიდან:
  - 10%- აივ ინფიცირებული
  - 12% - ნარკოტიკის მომხმარებელი
  - 46% - კომერციული სექს-მუშაკები
  - 22% - მსმ და ტრანსგენდერი
  - 10% - პატიმარი და ყოფილი პატიმარი

დამრღვევების მიხედვით დარეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობაზე საუბრისას, აღინიშნა შემთხვევათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, სადაც მონაწილეობს პოლიციის მუშაკი. აღინიშნება სტიგმა/დისკრიმინაციის მაღალი დონე.

- აუდიტორიას წარუდგინა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც შემუშავდა 6-თვიანი პერიოდის ანალიზის საფუძველზე:

ცვლილებები ნარკოპოლიტიკაში;

ასევე შემოთავაზებულია ცვლილებები რიგი ადმინისტრაციულ აქტებთან/კანონებთან მიმართებაში (ვენერიული დაავადების წყაროს დამალვის პასუხისმგებლობის, პროსტიტუციისთვის დასჯის გაუქმების თვალსაზრისით და ა.შ.);

პოლიციის თანამშრომლების, მედიცინის მუშაკების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სავალდებულო პროგრამებში შეტანილ იქნას მოსახლეობის მაღალი რისკ ჯგუფების წარმომადგენლების უფლებათა დაცვის, პატივისცემის, რეალიზების საკითხი;

უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლებათა დარღვევის მიმართებაში მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური და იურიდიული დახმარების მიმწოდებელ სამოქალაქო ორგანიზაციების პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

- პროექტი მიმდინარეობს და ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მოწოდებული სერვისებით;
- დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯები REAct-ის თვის;
- მოხდება ქსს-ს რეგულარული ინფორმირება პროექტის აქტივობების შესახებ ანგარიში გაზიარდება წევრებს შორის.

### **ზზია ტაბატაძე - სიტყვა გადასცა ბ-ნ კონსტანტინე ლაბარტყავას.**

**კონსტანტინე ლაბარტყავა** – მაღლობა მოახსენა გლობალურ ფონდს და პირადად ბ-ნ ლატიჩევსკის და ქ-ნ ვინიჩენკოს მრავალწლიანი დახმარებისთვის. ბ-ნმა კონსტანტინემ ასევე მაღლობა მოახსენა ქსს-ს წევრებს აქტიური ჩართულობის და მხარდაჭერისთვის. მან მოკლედ წარადგინა ქსელი - ნარკოტიკის მომხმარებლები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის. ქსელი აერთიანებს 6 სათემო ორგანიზაციას, საინიციატივო ჯგუფებს და ინდივიდუალურ წევრებს ქვეყნის მასშტაბით. ბ-ნმა კონსტანტინემ რეტროსპექტულად მიმოიხილა საქართველოს ნარკოკანონმდებლობა, მათ შორის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და ხაზი გაუსვა ნარკოპოლიტიკის რეპრესიულ ხასიათს. ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებმა გარკვეულწილად შეცვალა დამოკიდებულება ნარკომომხმარებლების მიმართ, თუმცა ნარკოპოლიტიკა კვლავ რეპრესიულ ხასიათს ატარებს. კვლავ არ არის დანერგილი ყოვლისმომცველი, მზრუნველობითი, ადამიანის უფლებებზე და ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკა. ამ კონტრქსტში ზიანის შემცირების დაბალზღურბლოვანი სერვისები და ორთ გასწავთრებულ ფასეულობას წარმოადგენს ნიმ-ებისთვის.

#### **ძირითადი ფოკუსი:**

- ბუპრენოფრინის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, მაგრამ ვერ ფარავს ყველა ბენეფიციარს და მათ უწევთ კომერციული პროგრამის სერვისებით სარგებლობა;
- ბუპრენოფრინის პრეპარატის დაბალი ხარისხი, არაეფექტურობა და კლებითი დოზები; პრობლემა მწვავეა და საჭიროებს გადაჭრას; კონკრეტული მწარმოებლის პრეპარატი არ უნდა იქნას შესყიდული მომავალი ტენდერით, რადგანაც პრეპარატი არ არის მისაღები ბენეფიციარებისთვის. უკრაინული სერტიფიცირებული ლაბორატორიის დასკვნის, არასამთავრობო ორგანიზაციების და პაციენტების ჩივილის შედეგად პრეპარატი უკვე ამოღებულია უკრაინული ცენტრებიდან;
- ორთ-ს პროგრამის მოძველებული რეგულაციები საჭიროებს გადახედვას, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ თემი, არამედ დარგის ექსპერტები, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი;
- სახლში გასატანი მეთადონის დოზები. აღნიშნული უნდა შენარჩუნდეს და

- დამკვიდრდეს, როგორც რუტინული პრაქტიკა;
- მიმდინარეობს აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან ყველა მწვავე საკითხის მოგვარების მიზნით; გამოიხატა მზაობა ცენტრის მხრიდან ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი; ბ-ნმა ლაბარტყავამ ნიმ-ების თემის სახელით განაცხადა, რომ ამგვარი ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს ჯანდაცვის სამინისტროსთან და მასში უნდა გაერთიანდნენ თემი, ექსპერტები, გადაწყვეტილების მიმღები პირები.

**მზია ტაბატაძე** – მიმართა აუდიტორიას დამატებითი საკითხების/განცხადებების წამოწევის თხოვნით. მოხდება სხდომაზე წამოწეული ყველა საკითხზე შემდგომი მიდევნება. თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა მოახსენა აუდიტორიას დასწრებისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გადაწყვეტილება:**

**ამჟამინდელი ძირითადი მიმღების - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის გრანტების ძირითად მიმღებად განმეორებით წარდგენის საკითხი დადგეს ელექტრონულ კენჭისყრაზე.**

მზია ტაბატაძე

ნათია ხონელიძე

ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე

ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი